ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
მუნიციპალური ინსპექცია

№ 4-1/დ1203-25
"02" 07 2025 წ

დადგენილება №ც36-25
სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

02.07.2025წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2025 წლის 13 მარტის №4-1/დ411-25 №002951 დადგენილებით, შპს "საქსპეცტრანსი"-ს (ს/ნ 205064446; მის: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ქინძმარაულის ჭუჭა №13) დაჯარიმდა 10 000 (ათი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, რეზო გაბაშვილის ქუჩა №71, №71ა, №71ბ, №71გ, №71დ, №71ე, №01.11.17.002.329 საკადასტრო კოდზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 მარტის №6377564 ბრძანებით შეთანხმებული სანებართვო პირობების დარღვევით (დარღვეულია ბრძანების მე-8 ეტაპით " გარე კედლების მოწყობა"-განსაზღვრული სამუშაოები) III კლასის შენობა-ნაგებობის (საწყობი) მშენებლობისთვის.

ზემოაღნიშნულ დადგენილებაში ადგილი აქვს ხარვეზს, კერძოდ დარღვევების ჩამოთვალში არ უნდა იყოს მითითებული შემდეგი სახის დარღვევა: "ღობის ნაწილი, კიბეები და ტერიტორიაზე მოკირწყლა სცდება საკადასტრო საზღვრებს."

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ხარვეზით გამოცემის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ აქტში გაასწოროს აღნიშნული ხარვეზი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად,

დავადგინე:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2025 წლის 13 მარტის №4-1/დ411-25 №002951 დადგენილება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ქ. თბილისში, რეზო გაბაშვილის ქუჩა №71, №71ა, №71ბ, №71გ, №71დ, №71ე, №01.11.17.002.329 საკადასტრო კოდზე, შპს "საქსპეცტრანსი"-ს მიერ განხორციელებულ იქნა III კლასის შენობა-ნაგებობის (საწყობი) მშენებლობა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 21 მარტის №6377564 ბრძანებით შეთანხმებული სანებართვო პირობების დარღვევით, დარღვეულია

ბრძანების მე-8 ეტაპით "გარე კედლების მოწყობა"- განსაზღვრული სამუშაოები კერძოდ: საპროექტო შენობის მიმდებარედ A-A ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია საყრდენი კედელი. 10-1 ფასადზე 10-9 მონაკვეთში დამატებით მოწყობილია კედელი. A-E ფასადზე C-E მონაკვეთში დამატებით მოწყობილია საფეხურები. ასევე დარღვეულია პროექტი, კერძოდ 8-9 მონაკვეთში "C" ღერძთან კოლონა მოწყობილია კონსტრუქციული ნახაზის მიხედვით და არ არის ნაჩვენები არქიტექტურულ ნახაზში.

2. დადგენილება №ც36-25 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე" ძალაშია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2025 წლის 13 მარტის №4-1/დ411-25 №002951 დადგენილებასთან ერთად;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის უფროსი გოგი ჩიქოვანი